



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/27

„ 11 „ მარტი 2019 წ.

გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ყოფილი მოსამართლე ო. ჯორბენაძის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ყოფილმა მოსამართლე ომარ ჯორბენაძემ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მომართა 2018 წლის 28 დეკემბრის №3722-ო, 2019 წლის 22 იანვრის №121-ო და 28 თებერვლის №500-ო განცხადებებით. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №1/258 გადაწყვეტილებით, იგი მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლდა მხოლოდ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რითაც უგულებელყოფილ იქნა ის საფუძველი, რომელიც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაზე მიუთითებდა. კერძოდ, განმცხადებლის განმარტებით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარდგენილი 2017 წლის 16 ოქტომბრის №2469-ო განცხადებით იგი თანამდებობიდან გათავისუფლებას ითხოვდა როგორც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით (სხვა დაწესებულებაში თანამდებობაზე დანიშვნის გამო), ისე ამავე მუხლის მე-3 პუნქტით (4 თვეზე მეტი ხნით მოსამართლის უფლებამოსილების განუხორციელებლობის გამო), ვინაიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება არ აძლევდა მოსამართლის უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობას. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ვინაიდან დაინიშნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში ექსპერტად, არ მოითხოვს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 71-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ერთდროული კომპენსაცია 10 000 ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განმეორებით იმსჯელოს მის 2017 წლის 16 ოქტომბრის განცხადებასთან დაკავშირებით და მისი გათავისუფლების გადაწყვეტილებაში ჩაასწოროს გათავისუფლების საფუძველები. ამასთან, მოთხოვნილ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 71-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ერთდროული კომპენსაციის ანაზღაურება იმ საფუძველით, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, თუ მოსამართლე 12 თვის განმავლობაში 4 თვე ვერ ახორციელებს (ან სათანადოდ ვერ ახორციელებს) მოსამართლის უფლებამოსილებას, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეს ათავისუფლებს ამ საფუძველით, რა დროსაც მოსამართლეს მიეცემა ერთჯერადი კომპენსაცია 10 000 ლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განცხადებით მომართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ომარ ჯორბენაძემ და მოითხოვა მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება „საერთო სასამართლოების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე. ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია სხვა დაწესებულებაში თანამდებობაზე არჩევა ან დანიშვნა. ამავე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებას, გაათავისუფლოს მოსამართლე თანამდებობიდან, თუ იგი ბოლო 12 თვის განმავლობაში 4 თვეზე მეტ ხანს ვერ ახორციელებდა თავის უფლებამოსილებას და არსებობს შესაბამისი სამედიცინო დასკვნა, რომლის თანახმადაც, იგი მომავალშიც ვერ შეძლებს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებას. აღნიშნული საფუძველით მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დისკრეციულ უფლებამოსილებას და არ მიეკუთვნება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების სავალდებულო საფუძველებს, რაც ჩამოთვლილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველ პუნქტში. ამასთან, მითითებული საფუძველით მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებისას აუცილებელია შესაბამისი დოკუმენტაციის არსებობა, რომლითაც დასტურდება მოსამართლის მიერ ბოლო 12 თვის განმავლობაში 4 თვეზე მეტ ხანს უფლებამოსილების განუხორციელებლობის ფაქტი, ასევე შესაბამისი სამედიცინო დასკვნა, რომელიც ადასტურებს მოსამართლის მიერ მომავალში უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობას.

გათავისუფლების მოთხოვნის შესახებ განცხადებასთან ერთად იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარედგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 2017 წლის 16 ოქტომბრის №53-პ §2 ბრძანება „ომარ ჯორბენაძესთან - სისხლის სამართლის საკითხებში ექსპერტის პოზიციაზე შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ“. საკითხის განხილვისას არ ყოფილა წარმოდგენილი არც მოსამართლის მიერ ბოლო 12 თვის განმავლობაში 4 თვეზე მეტ ხანს უფლებამოსილების განუხორციელებლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია და არც შესაბამისი სამედიცინო დასკვნა, რაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მისცემდა შესაძლებლობას, ემსჯელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული საფუძველით მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №1/258 გადაწყვეტილებით, ომარ ჯორბენაძე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სხვა დაწესებულებაში თანამდებობაზე დანიშვნის გამო. აღსანიშნავია, რომ ომარ ჯორბენაძის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

რაც შეეხება ერთდროული კომპენსაციის გაცემის საკითხს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 71-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, რაც უკავშირდება მისი სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებას, მოსამართლეს სხეულის დაზიანებისას ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სხვაგვარი გაუარესებისას, რის შედეგადაც იგი აღიარებულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირად, ან დასახიჩრებისას ეძლევა ერთდროული კომპენსაცია 10 000 ლარის ოდენობით“. კომპენსაციის გაცემისათვის აუცილებელია დადგინდეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, რაც უკავშირდება მისი სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებას, მოსამართლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ფაქტი, ასევე სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს აღნიშნულის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირად აღიარება. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი საფუძველით მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება არ უკავშირდება ამავე კანონის 71-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი კომპენსაციის გაცემას. ომარ ჯორბენაძის მიერ წარმოდგენილ იქნა 2019 წლის 6 თებერვალს მკურნალი ექიმის მიერ გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, თუმცა რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც

დაადასტურებდა სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ფაქტს, არ ყოფილა წარმოდგენილი. ასევე, არ ყოფილა წარმოდგენილი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირად აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის შესაბამისად:

1. არ დაკმაყოფილდეს ომარ ჯორბენაძის მოთხოვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №1/258 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. არ დაკმაყოფილდეს ომარ ჯორბენაძის მოთხოვნა სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების საფუძველით ერთდროული კომპენსაციის 10 000 ლარის ოდენობით გაცემის თაობაზე.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), ამ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

